ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებში ოპიოიდების მოხმარებიდან სტიმულატორების მოხმარებაზე გადასვლის ხელშემწყობი და თანმხლები ფაქტორების შესწავლა

ლევან სალამაძე

სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ადიქციის კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ადიქციის კვლევების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით ოთიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განცხადება

„როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორის მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“

ლევან სალამაძე

24.06.2017

აბსტრაქტი

საქართველოში მეოცე საუკუნიდან მოყოლებული მუდმივად მოიხმარდნენ ოპიატების ჯგუფის ნარკოტიკულ ნივთიერებებს, სწორედ ამიტომ პროფესიულ თემსა და სამეცნიერო ლიტერატურაში ოპიოიდები მოიხსენიება, როგორც ტრადიციული ნარკოტიკული საშუალებები. 2007-2008 წლებში სიტუაცია მკვეთრად იცვლება, ნარკოტიკების ინექციური მოხმარებლები გადადიან რადიკალურად განსხვავებული სტიმულატორების ჯგუფის ნარკოტიკული ნივთიერებების (ვინტი, ჯეფი) მოხმარებაზე, რომლებსაც კუსტარული წესით, სახლის პირობებში ამზადებენ. 2013-2014 წლებში ჩნდება ახალი კუსტარული ნარკოტიკი ე.წ. „წიწვი“, რომლის მოხმარებაც ასევე ფართოდ ვრცელდება, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში. უკანასკნელი წლების ეპიდემიოლოგიურ მონაცემებშიც ფიქსირდება სტიმულატორების მოხმარების მზარდი ტენდენცია. კვლევის მიზანია დაადგინოს ოპიოიდებიდან სტიმულატორებზე გადასვლის ხელშემწყობი და თანმხლები ფაქტორები.

ქ. გორში ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის წევრი ორგანიზაციის (კავშირი „ნაბიჯი მომავლისკენ“) ბენეფიციარებში ჩატარდა 4 ფოკუს ჯგუფის შეხვედრა. აღნიშნული პირები თავდაპირველად იყვნენ ოპიატების მომხმარებლები, ხოლო ბოლო 6 თვის მანძილზე მათთვის წამყვანი ნარკოტიკული ნივთიერებები იყო სტიმულატორები. თვისებრივ კვლევაში სულ ჩაერთო 25 პირი, რომელთაგან ყველა იყო მამრობითი სქესის წარმომადგენელი. ფოკუს ჯგუფების დაწყებამდე კვლევის ავტორმა ინდივიდუალურად თითოეული მონაწილისგან შეაგროვა სოციო-დემოგრაფიული მონაცემები.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ფოკუს ჯგუფის მონაწილეების ყოველდღიური ქცევა განსხვავდებოდა ოპიატების მოხმარების დროს არსებული ქცევისგან. კუსტარულად დამზადებული სტიმულატორები გაცილებით დამაზიანებლები აღმჩნდა მათი ჯანმრთელობისთვის, რადგან მოხმარებიდან მალევე შეექმნათ მოტორული, კოგნიტური და მეტყველების პრობლემები.

ოპიატებიდან სტიმულატორებზე გადასვლის მთავარ ხელშემწყობ ფაქტორებად დასახელდა არსებული ხისტი ნარკოპოლიტიკა, რომელმაც განაპირობა მიწოდების შემცირება და მკაცრი ნარკოკანონმდებლობის მიღება. აღნიშნულმა ცვლილებებმა გამოიწვია ოპიატების ნარკოტიკულ საშუალებებზე ხელმისაწვდომობის შემცირება და ფასის ზრდა. ფოკუს ჯგუფის მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ კანონის გამკაცრების მიუხედავად არ შეწყვეტდნენ ნარკოტიკული საშუალებების მიღებას, რადგან აღკვეთის მდგომარეობის სიმძიმე მათ უბიძგებთ ნებისმიერი სიმძიმის ნარკოკანონმდებლობის რღვევისკენ, თუმცა მათ ნაწილი მზაობას გამოთქვამს მკურნალობაზე. კვლევის მონაწილეების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებამ აუცილებელი გახადა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრების არსებობა.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე აუცილებელია მოხდეს ნარკოტიკული ნივთიერებების პირადი ფლობისა და მოხმარების დეკრიმინალიზაცია, ასევე დაინერგოს პრევენციის ერთიანი მექანიზმი, რომელიც ნარკოტიკებისგან გამოწვეული ზიანის შესახებ აამაღლებს ცნობიერებას, როგორც საზოგადოებაში ასევე მაღალი რისკის ჯგუფებში. გაიხსნას ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრები, რათა ნარკოტიკების ინექციურ მომხარებლებს ჰქონდეთ შესაძლებლობა ებრძოლონ ნარკოტიკებზე დამოკიდებულების სინდრომს.

Abstract

Drugs from the opiate group have constantly been used in Georgia since the twentieth century, therefore opioids are referred to as traditional drugs in the professional community and scientific literature. The situation changes sharply in 2007-2008 when injecting drug users switch to using radically different drugs from the group of stimulants (Vint and Jeff), which are home-made drugs. New home-made drug, so called "Tsitsvi" emerges in 2013-2014 and spreads widely especially in Eastern Georgia. The epidemiological data of the last years shows a growing tendency of using stimulants. The aim of the research is to identify the supporting and accompanying factors of switching from opioids to stimulants.

4 focus group meetings were conducted among beneficiaries of a member organization of Georgian Harm Reduction Network (Union "Step to the Future") in Gori. These people had been using opiates in the beginning, while during the last 6 months the primary drugs for them were stimulants. 25 persons engaged in a qualitative research using available selection method, all of them were males. Before beginning the focus groups the author of the research individually gathered socio-demographic data from all of the participants.

The research showed that everyday behavior of focus groups' participants differed from their behavior while using opiates. Home-made stimulants appeared to be damaging their health more, because soon after the use, they started having motor, cognitive and speech problems.

The rigid drug policy was named as a main supporting factor for switching from opiates to stimulants, which caused a reduction in supply and receipt of a severe drug policy. The

above mentioned changes caused a reduced availability of opiates and an increased price. The participants of the focus groups mentioned, that despite the toughening law, they will not stop using drugs, because the severity of withdrawal pushes them to violate any drug legislation. Although some of them expressed readiness for treatment. Deterioration of the health of the research's participants made it necessary to have psycho-social rehabilitation centers.

According to the results of this research, decriminalization of personal possession and use of drugs is necessary. It is also necessary to implement the unified preventive mechanism, which will raise awareness about the harm caused by drugs in the society as well as in high risk groups. Centers for psycho-social rehabilitation should be opened for the IDUs to have an opportunity to fight the syndrome of drug addiction.

მადლობა

მადლობას ვუხდი ადიქციის კვლევების სამაგისტრო პროგრამის ლექტორებს, განსაკუთრებით კი მოცემული კვლევის სამეცნიერო ხელმძღვანელს ბ-ნ დავით ოთიაშვილს გაწეული დახმარებისა და რეკომენდაციისთვის. ასევე დიდი მადლობა ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის წევრი ორგანიზაციის (კავშირი „ნაბიჯი მომავლისკენ“) ხელმძღვანელს ქეთევან ბიძინაშვილსა და მთლიანად დასაქმებულ პერსონალს კვლევის ჩატარებისთვის გაწეული დახმარებისთვის.